**ხელშეკრულება № 61**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**
**(მომსახურების შესყიდვა)**

ქ. გორი                                        20 მაისი 2014 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი (საიდენთიფიკაციო კოდი: 417876640) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნოდარ მეტრეველის** სახით (შემდგომში – შემკვეთი) და მეორეს მხრივ, **ი/მ მალხაზი უმეკაშვილი** (პირადი ნომერი: 43001000395) (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი მომსახურების გაწევა: ავტომომანქანის ტექნიკური მომსახურება.

## 2. მომსახურების ობიექტი

2.1 მომსახურების ობიექტია: ავტომანქანის ტექნიკური მომსახურება CPV 50100000

## 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

3.2. მომსახურების ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - 513 (ხუთასცამეტი) ლარი დარიცხვით.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2 შემსრულებელი ვალდებულია მომსახურება გაწიოს პირადად.

## 5. მომსახურების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსრულებლისა და შემკვეთის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. მომსახურების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემკვეთს უფლება აქვს:
-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემკვეთი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. შემსრულებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან – 1 (ერთი) კალენდარი თვის ვადით.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1. შემკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემკვეთის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *14. სხვა პირობები*

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული ცენტრი

ს/კ: 417876640

მის: ქ. გორი სტალინის #11

ბანკი: სს "პრივატბანკი"

კოდი: CAVOGE22

ა/ა: GE87LB0115173009313000

დირექტორი: ნოდარ მეტრეველი

/ნ.მეტრეველი/

მიმწოდებელი

ი/მ მალხაზ უმეკაშვილი

ს/კ: 43001000395

მის: გორი ბაქოს #14/13

ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“

კოდი: MIBGGE22

ა/ა: GE34PC0143600100034813

ხელმძღვანელი: მალხაზ უმეკაშვილი

/მ.უმეკაშვილი/

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

ქ. გორი 20 მაისი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი (შემდგომში – შემკვეთი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნოდარ მეტრეველის** სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417876640) და მეორეს მხრივ **ი/მ მალხაზ უმეკაშვილი** (შემდგომში როგორც - შემსრულებელი) (პირადი ნომერი 43001000395) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2014 წლის 20 მაისის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მომსახურების შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „შემკვეთმა" გაწეული სამუშაოს სანაცვლოდ კერძოდ ავტომანქანის შეკეთება. „შემსრულებელს" გადაურიცხა 513 (ხუთასცამეტ) ლარი დარიცხვით.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

შემკვეთი: /ნ.მეტრეველი/

შემსრულებელი: /მ.უმეკაშვილი/

# ი ნ ვ ო ი ს ი

(მომსახურების ღირებულების შესახებ)

ქ. გორი

20 მაისი 2014 წელი

1. დამკვეთი: *ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი*

2. მიწოდებული მომსახურების დასახელება: *ატოსატრანსპორტის ტექნიკური მომსახურება.*

3. მიწოდების საფუძველი: *ხელშეკრულება №*

4. გაწეული მომსახურების ღირებულება: *513 (ხუთასცამეტი) ლარი დარიცხული*

5. გადახდის პირობები: *უნაღდო ანგარიშსწორებით*

6. საბანკო რეკვიზიტები: *ს.ს. „პროკრედიტ ბანკი" ა/ა* GE34PC0143600100034813

ი/მ მალხაზ უმეკაშვილი /მ.უმეკაშვილი /

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

## საბანკო რეკვიზიტები ეროვნულ ვალუტაში
## Bank Details of National Currency

| | |
|---|---|
| კლიენტის დასახელება<br>Customer name | მალხაზი უმეკაშვილი<br>Malkhazi Umekashvili |
| ანგარიშის ნომერი, ვალუტა<br>Account number, currency | GE34PC0143600100034813 GEL |
| ბანკის დასახელება<br>Bank name | პროკრედიტ ბანკი, საქართველო<br>ProCredit Bank, Tbilisi, Georgia |
| ბანკის კოდი<br>Bank code | MIBGGE22 |

# ინფორმაცია გადამხდელის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| სახელი | 1 | მალხაზი უმეკაშვილი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 2 | 43001000395 (117886706) |
| მისამართი | 3 | გორი / ბაქოს 14/13 |
| საგადასახადო გირავნობა / იპოთეკის უფლება | 4 | რეგისტრირებული არ არის |
| ყადაღა / აკრძალვა | 5 | რეგისტრირებული არ არის |
| სტატუსი | 6 | |

19/05/2014 07:21:33

ამონაწერი დაიბეჭდა ვებ-გვერდის მეშვეობით www.rs.ge